მცირე ბიზნესის მწარმოებელი

პროგრამის მიზანი

წინამდებარე პროგრამა მიზნად ისახავს მიკრო, მცირე და საშუალო, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ბიზნესისათვის სპეციალისტთა მომზადებას, რომლებსაც ეცოდინებათ ბიზნეს-საქმიანობის ამა თუ იმ მიმართულების მართვასთან დაკავშირებული პრინციპები. წინამდებარე პროგრამა შედგენილია დარგის პროფესიონალების მიერ და ემსახურება შესაბამისი ცოდნის, უნარების და ფასეულობების მქონე სპეციალისტების მომზადებას. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული მზადაა დაიწყოს ბიზნესი და უხელმძღვანელოს მას.

პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა

პროგრამის მოცულობაა 4 კრედიტი (სულ 100 საათი, მათ შორის საკონტაქტო საათების რაოდენობაა 75, აქედან: თეორიული მეცადინეობა - 33 საათი, პრაქტიკული მეცადინეობა - 39, გამოცდა - 3 საათი, დამოუკიდებელი მუშაობა - 25 საათი).
პროგრამის ხანგრძლივობაა 60 დღე.
სწავლა წარმოებს კვირაში 4 დღე. მეცადინეობის ხანგრძლივობა დღეში შეადგენს 3 საათს (კვირაში 12 საათი).

სასწავლო კურსის განხორციელებისა და სწავლების მეთოდოლოგია

სწავლების მეთოდოლოგია მოიცავს სალექციო სწავლებასა და სამუშაო ჯგუფში ან ინდივიდუალურად მარტივ ბიზნეს პროექტებზე მუშაობას. მსმენელები ადმინისტრაციული საქმიანობის შესწავლასთან ინტეგრირებულად, ასევე უზრუნველყოფენ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგებთან მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას.
სასწავლო პროცესი ემყარება შემდეგ მეთოდებს:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხობს კონკრეტული სავარჯიშოების წერით შესრულებას;
- ჯგუფური მუშაობა - დისკუსია, გონებრივი იერიშის მეთოდების, ასევე კითხვა-პასუხისა და როლური თამაშებისა და საქმიანი სიტუაციების ინსცენირების სახით, რაც წარმოადგენს აზროვნების განვითარების საუკეთესო საშუალებას;
- დემონსტრირების მეთოდი - გულისხმობს სალექციო თემის ირგვლივ არსებული მასალის, პრეზენტაციის და სხვა სასწავლო მასალის გამოყენებასა და ჩვენებას, რაც აადვილებს სასწავლო მასალის აღქმას.

- ბეჭდვითი სამუშაოების შესრულება, რომელიც გულისხობს კონკრეტული სავარჯიშოების კომპიუტერთან შსრულებას.
- ბიზნეს პროექტზე მუშაობას.

ყოველი თემის ბოლოს ტარდება შეფასება, მიწოდებული მასალის ათვისების შესამოწმებლად. პროგრამის დასრულების ბოლოს ტარდება ბიზნეს პროექტის პრეზენტაცია, რის საფუძველზეც გაიცემა სერტიფიკატი.

სწავლება მიმდინარეობს მცირე ჯგუფებში.

სწავლის საფასური:

ჯგუფში მსმენელთა **მინიმალური** რაოდენობაა - **5**
ჯგუფში მსმენელთა **მაქსიმალური** რაოდენობაა - **20**
21 და მეტი მსმენელის შემთხვევაში შედგება ახალი ჯგუფი.

<u>ერთი მსმენელის ღირებულება შეადგენს 950 ლარს</u>

სწავლების ენა - ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22;

სწავლის შედეგები

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

იცის:

- ბიზნეს იდეის შერჩევის მეთოდები
- ბიზნესის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების სახეები და მათი მართვის გზები
- ბიზნესის განხორციელებისათვის საჭირო ლიცენზიები, ნებართვები და სერტიფიკატები
- ბიზნესის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები
- ბიზნესის გადასახადები

- დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმები
- ბიზნესის განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი საშულაბები, აღჭურვილობა, ნედლეული და მასალები
- ბიზნესის დაფინანსების წყაროები
- ადამიანური რესურსების მოძიების, შერჩევის, აყვანისა და საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები
- გაყიდვების არხები და კლიენტთა სტიმულირების მეთოდები
- საქონლის/მომსახურების ფასწარმოქმნა.

<u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</u>
<u>შეუძლია:</u>

- ბიზნესის დაგეგმვა
- ბიზნესის რეგისტრაცია
- ბიზნესის ორგანიზება
- ადამიანური რესურსების დაგეგმვასა და აყვანასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შედგენა
- პროდუქციის/მომსახურების რეალიზაცია
- გამარტივებული ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების კალკულაცია

<u>კომუნიკაციის უნარი</u>
<u>შეუძლია:</u>

- ინფორმაციის გადაცემა, ახსნა-განმარტებების მიცემა, პრეზენტაცია;
- თანამედროვე საოფისე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების სქემა

✓ სერტიფიცირების პროცესი ტარდება პროექტის პრეზენტაციის სახით;
✓ ბიზნეს პროექტი წარედგინება კომისიას, ხოლო მსმენელი პრეზენტაციის სახით წარმოადგენს საკუთარი პროექტის შესახებ ინფორმაციას;

- ✓ შეფასება განხორციელდება შეფასების ფურცლის „ჩექ ლისტის“ გამოყენებით;
- ✓ სწავლის შედეგები ჩაითვლება მიღწეულად თუ მსმენელი დააგროვებს მაქსიმალური შეფასების 50%-ს.

შეფასების არადამაკმაყოფილებელი შედეგის მიღების შემთხვევაში პირს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს გამოცდაზე 10 დღის ვადაში. განმეორებით გამოცდაზე მიღებული შედეგი საბოოლოა.

<u>სერტიფიცირების პროცესი</u>

სერტიფიცირების პროცესის მიმდინარეობას აკვირდება სერტიფიცირების კომისია, რომლის შემადგელობაში შედიან როგორც დარგის სპეციალისტები, ისე პოტენციური დამსაქმებლები.

საკონტაქტო ინფორმაცია: ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22 (ოთახი 109), ტელეფონი: 2 40 34 40, 2 40 33 40, ელფოსტა: info@sba.edu.ge